# სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

## შინაარსი

*მუხლი 1. რეგულირების სფერო.....3*

*მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიზანი და სამიზნე ნიშნულები.....3*

*მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები.....4*

*მუხლი 4. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის პროცედურა.....5*

*მუხლი 5. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია და ფორმულა .....5*

*მუხლი 6. დასკვნითი დებულებები.....6*

## მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი განსაზღვრავს ვებსტერ უნივერსიტეტის, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში (შემდგომში - ფილიალი) სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია შემუშავებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2010 წლის პირველ ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

## მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიზანი და სამიზნე ნიშნულები

1. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიზანია ფილიალში სტუდენტებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ისინი შეძლებენ ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღებას.

2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის პრაქტიკაში დანერგვის გზით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდეგი სამიზნე ნიშნულების დაცვა:

ა) სასწავლო პროცესის წარმართვა სტუდენტთა მცირე ჯგუფებში;

ბ) პერსონალის მიერ სტუდენტებისთვის ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობის შექმნა;

გ) სტუდენტებთან ინდივიდუალური თანამშრომლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

დ) ფილიალის კამპუსის და რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა სტუდენტისთვის.

## მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები

1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის დროს მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:

ა) მატერიალური რესურსი;

ბ) ადამიანური რესურსი, კერძოდ, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული რესურსი და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული სხვა პირები;

გ) ფილიალში არსებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა;

დ) შრომის ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები;

ე) ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა;

ვ) საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული მაგისტრანტების რაოდენობა;

ზ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა;

თ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული მაგისტრანტების რაოდენობა;

ი) მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარემოებების გარდა, სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება სტატისტიკური მონაცემები, მათ შორის, გასულ წლებში გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობის, ჩარიცხვის მსურველ პირთა განახცადების, რეალურად ჩარიცხული სტუდენტებისა და მაგისტრანტების რაოდენობის და ვაკანსიების შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი გარემოებები მხედველობაში მიიღება სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას და ფასდება სამიზნე ნიშნულებთან მათი შესაბამისობა.

## მუხლი 4. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის პროცედურა

1. მომავალი სასწავლო წლისთვის მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცედურა იწყება მიმდინარე სასწავლო წლის არაუგვიანეს პირველი ნოემბრისა.
2. მომავალი სასწავლო წლისთვის მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს ბრძანებით ამტკიცებს ფილიალის რექტორი.
3. მომავალი სასწავლო წლისთვის მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია დადგენილ ვადაში წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს.

## მუხლი 5. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია და ფორმულა

1. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა ხდება შემდეგი მეთოდოლოგიის დაცვით:
ა) დგინდება საერთო ფართის, მათ შორის, სასწავლო და დამხმარე ფართის ოდენობა;
ბ) განისაზღვრება აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
გ) განისაზღვრება მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
დ) განისაზღვრება ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა;
ე) ფასდება საჭირო და სათანადო მატერიალური რესურსის არსებობა.
2. მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დადგენის დროს ხდება შემდეგი მონაცემების გათვალისწინება:

ა) საერთო ფართის და სტუდენტთა თანაფარდობა: ერთ სტუდენტზე არანაკლებ 2 კვ.მ. საერთო ფართი. თუ აღნიშნული მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია ერთ ცვლაში, სასწავლო პროცესი დაიგეგმება ორ ცვლაზე;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა: აკადემიური პერსონალის რაოდენობა მრავლდება 70-ზე (სტუდენტების რაოდენობა);

გ) ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და სტუდენტების თანაფარდობა: ადმინისტრაციის პერსონალის რაოდენობა მრავლდება 50-ზე (სტუდენტების რაოდენობა);

დ) კომპიუტერებისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა: კომპიუტერების რაოდენობა მრავლდება 30-ზე (სტუდენტების რაოდენობა);

ე) მატერიალური რესურსის - სტუდენტების განთავსებისთვის საჭირო სკამების/მაგიდების და სტუდენტების თანაფარდობა: ერთი ცვლის შემთხვევაში, მატერიალური რესურსის ჯამური რაოდენობა, ხოლო ორი ცვლის შემთხვევაში - მატერიალური რესურსის მატერიალური რესურსის ჯამური რაოდენობა მრავლდება 2-ზე.

3. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფორმულის მიხედვით დაიანგარიშება ლიმიტები და სტუდენტთა კონტინგენტის მაქსიმალურ ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრება მიღებულ ლიმიტებს შორის ყველაზე მინიმალური რაოდენობა.

## მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და ფილიალის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.